

ხეობ



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№100 2015 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 2015 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №726 დადგენილების საფუძველზე, მიეცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (შემდგომში - ფონდი), რომ ფონდის 2015 წლის ბიუჯეტი, საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი

ნ. 

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
№ 683/01 " 03.02.2015
3 ფურცელი

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების ფორმა

ცხრილი N1

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

2015 წლის ბიუჯეტი

ათასი ლარი

დასახელება	მთლიანი ბიუჯეტი
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	37,000.0
შემოსულობები	283,185.2
შემოსავლები **	274,102.2
საბიუჯეტო სახსრები	258,665.0
საკუთარი შემოსავლები	7,138.0
არაფინანსური აქტივების კლება	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	9,083.0
ვალდებულებების ზრდა	0.0
გადასახდელები	285,109.2
ხარჯები	283,969.2
შრომის ანაზღაურება	4,642.6
საქონელი და მომსახურება	1,974.4
პროცენტი	0.0
სუბსიდიები	15,895.0
გრანტები	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	40.0
სხვა ხარჯები*	261,417.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	140.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	1,000.0
ვალდებულებების კლება	0.0
ნაშთის ცვლილება	-1,924.0
ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის	35,076.0

შენიშვნა: წამომოდგენილი უნდა იყოს დამატებითი ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი ღონისძიებების შესახებ

* სხვა ხარჯების მუხლში, მგფ-ის საკუთარი სახსრებიდან გათვალისწინებულია კრედიტუნარიან მუნიციპალიტეტების საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსება 12,078 ათასი ლარი.

**შემოსავლებში დამატებით შეტანილია საინვესტიციო პროექტების ფარგლებში მუნიციპალიტეტების წილობრივი თანა ხარჯების ნაწილში ასახულია სხვა ხარჯების მუხლში.

საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი

ცხრილი N2

შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო თვეში ერთ თვეულზე	სულ თანამდებობრივი სარგო თვეში		სულ შრომის ანაზღაურება წლიური*
			სულ საბაზისო თანამდებობრივი სარგო თვეში	კატეგორიის სარგო თვეში	
სულ	114		265,900.0	60,458.3	4,642,560
აღმასრულებელი დირექტორი	1	6,000.0	6,000.0	60,458.3	
აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე	1	5,500.0	5,500.0		
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე	2	5,450.0	10,900.0		
სამსახურის უფროსი	10	4,000.0	40,000.0		
სამსახურის უფროსი**	1	4,000.0	4,000.0		
სამსახურის უფროსის მოადგილე***	1	3,500.0	3,500.0		
სპეციალისტი	98	2,000.0	196,000.0		

შენიშვნა: 1.*სულ შრომის ანაზღაურება წლიური მოიცავს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას, ასევე, სსიპ-ის საკუთარი შემოსავლებიდან გაწეულ ხარჯებს. 2. სულ თანამდებობრივი სარგო თვეში მოიცავს 5 კატეგორიას: I კატეგორიის ყოველთვიური სარგო შეადგენს საბაზისო თანამდებობრივ სარგოს; II კატეგორიაზე ყოველთვიური სარგო შეადგენს საბაზისო თანამდებობრივი სარგოს (I კატეგორიის) 125%-ს; III კატეგორიაზე, შესაბამისად - 150%-ს; IV კატეგორიაზე, შესაბამისად - 200%-ს; ხოლო V კატეგორიაზე თანამდებობრივ სარგოს განსაზღვრავს ფონდის სამეთვალყურეო საბჭო.

** სამსახურის უფროსის ერთი საშტატო ერთეული გაუქმდება 2015 წლის 1 თებერვლიდან;

*** 2015 წლის 1 თებერვლიდან დაემატება სამსახურის უფროსის მოადგილის ერთი საშტატო ერთეული.